# სინტოიზმი

ა**ვტორი/ავტორთა ჯგუფი**: ლევან ახვლედიანი

**მიზანი:** წარმოდგენილი რესურსის მიზანია, გააცნოს მოსწავლეებს იაპონური ნაციონალური რელიგია - სინტოიზმი.

**ანოტაცია:** წარმოგიდგენთ რესურსების ციკლს, რომლებიც მსოფლიო რელიგიების მიმოხილვას ეხება. ყველასათვის ნათელია, თუ რა გავლენას ახდენდა და ახდენს რელიგია საზოგადოების განვითარებაზე. ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია სხვადასხვა ეპოქასა თუ რეგიონში მოქმედი რელიგიების განხილვა. მით უმეტეს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში ამ თემების შესწავლას ძალიან მცირე ადგილი ეთმობა და ძირითადად განხილულია (მცირე დოზით) ე.წ. აბრაამისტული რელიგიები, კერძოდ, ქრისტიანობა და ისლამი. ჩვენ მიერ წარმოდგენილია რამდენიმე რელიგია. განვიხილავთ, მაზდეანობას, კონფუციანობას, დაოსიზმს, ინდუიზმსა, სინტოიზმსა და სხვა. ეს რელიგიები წარმოდგენილი იქნება ცალ-ცალკე. თითოეულ მათგანს ახლავს შეკითხვები, რომელზეც პასუხის გაცემა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს გაუადვილებს ამ რელიგიების შესწავლას.

**კატეგორია**: საშუალო საფეხური - X, XI, XII კლასები. სავარჯიშო (აქტივობა)

# *სინტოიზმი*

სინტოიზმი (იაპ. „ღმერთების გზა“) იაპონური ნაციონალური რელიგიაა. მის საფუძველს წარმოადგენს ბუნების ძალებისა და წინაპართა სულების გაღმერთება. ამ რელიგიის მიხედვით, მრავალ საგანს  და, რა თქმა უნდა, სულიერ არსებას გააჩნია საკუთარი სულიერი არსი, რომელსაც კამი ეწოდება. კამი შეიძლება იყოს როგორც კონკრეტული ადგილის სული, მაგალითად, არსებობდეს ხეში, ქვასა თუ წმინდა ადგილას, ასევე განასახიერებდეს გლობალურ ბუნებრივ მოვლენებს - მზეს, ქარს, წვიმას და ა.შ. ასევე კამი წარმოადგენს გარდაცვლილ წინაპართა სულებსა  და ოჯახებისა და გვარების მფარველს. სინტოს მიხედვით, თითოეულ ადამიანში არსებობს კამი, რომელიც მისი მფარველი და კეთილდღეობის საფუძველია.

1. **რა უდევს საფუძვლად სინტოიზმს?**
2. **რა არის კამი?**

სინტოს მთავარ სულიერ პრინციპს წარმოადგენს ადამიანის ცხოვრება ბუნებასა და საზოგადოებასთან სრულ ჰარმონიაში. ამ რელიგიის მიხედვით, სამყარო ერთიანია, სადაც კამები, ადამიანები და გარდაცვლილთა სულები თანაარსებობენ. ამავე დროს, ეს სამყარო ცვალებადია და  უსასრულო არ არის. გარკვეული დროის შემდეგ ის ნადგურდება, რის შემდეგაც ახალ ფორმას იძენს.

3. **რა წარმოადგენს სინტოიზმის მთავარ სულიერ პრინციპს?**

სინტოიზმში, განსხვავებით ქრისტიანობისგან, არ არსებობს ერთიანი ეთიკური კანონი. მასში სიკეთე და ბოროტება მეტად ფარდობით ხასიათს ატარებენ და მათი დაპირისპირება ბუნებრივ მოვლენად აღიქმება. სინტოს მოძღვრების მიხედვით, თუ ადამიანის ქცევა პატივისცემას იმსახურებს საზოგადოების მხრიდან, მაშინ, სავარაუდოდ, ის სიკეთეს სჩადის. ასევე, სათნოებად ითვლება თანადგომის გამოხატვა გარშემომყოფთათვის, უფროსებისადმი პატივისცემა, მეგობრული ურთიერთობა საზოგადოების წევრების მიმართ და სხვა. სინტოიზმი გმობს ეგოიზმს, შემწყნარებლობის არქონას. ბოროტებად ითვლება ყველაფერი ის, რაც არღვევს სოციალურ წესრიგსა და სამყაროს ჰარმონიას. ადამიანის სული თავიდანვე სათნო და უცოდველია, ხოლო ამქვეყნიური სამყარო კარგია, თუმცა ბოროტება სულების გავლენით ვრცელდება, რომლებიც ადამიანთა მოდგმის სისუსტით სარგებლობენ. ამრიგად, სინტოს მიხედვით, ბოროტება  თავისებურ ავადმყოფობას წარმოადგენს, რომელიც ადამიანისთვის არ არის ბუნებრივი.

## 4. როგორია სინტოიზმის ეთიკა?

სინტოიზმი, როგორც სახელმწიფო რელიგია, ჩამოყალიბდა დაახლოებით VII – VIII საუკუნეებში, როდესაც ერთიანი იაპონური სახელმწიფო შეიქმნა. ახალი რელიგიის მიხედვით, სინტოს უზენაესი ღვთაება გამოცხადდა საიმპერატორო დინასტიის წინაპრად, ხოლო სხვა ღმერთები იაპონიის გავლენიანი გვარების წინაპრებად. ამავე დროს, იქმნება ქრონიკა „ძველი ამბების ჩანაწერები“ - კოძიკი და „იაპონიის ანალები“ - ნიჰონგი. სწორედ ეს წიგნები წარმოადგენდნენ სინტოს მიმდევართა ძირითად კანონსაც.

## 5. რომელი ნაწარმოებები წარმოადგენენ იაპონელთა ძირითად რელიგიურ წიგნებს?

კოძიკისა და ნიჰონგში ასახვა პოვა სინტოიზმის მითოლოგიამაც, რომელშიც მოთხრობილია ამბავი სამყაროს შექმნის შესახებ. ამ მითის მიხედვით, საწყის ეტაპზე იყო ქაოსი, რომელშიც ყველა ელემენტი არეულ, უფორმო მდგომარეობაში იმყოფებოდა. შემდგომ ეტაპზე წარმოიშვა ცა და დედამიწა. ამ დროს წარმოიშვნენ პირველი ღმერთები და ღვთაებრივი წყვილები. ყოველი ასეთი წყვილი შედგებოდა ძმისა და დისგან, რომლებიც განასახიერებდნენ ბუნებრივ მოვლენებს. უკანასკნელი წყვილი - იძანაგი და იძანამი დაქორწინდნენ. მათგან წარმოიშვა იაპონიის კუნძულები და მრავალი კამი. იძანამისგან იშვა ცეცხლის ღმერთი, რის შემდეგაც იძანამი გარდაიცვალა და გაემგზავრა წყვდიადის ქვეყანაში. დამწუხრებულმა იძანაგიმ მოკლა ცეცხლის ღმერთი, რომლის სისხლისგან მრავალი კამი წარმოიშვა. იძანაგი მეუღლეს კვალს გაუყვა, რათა დაებრუნებინა ის ამქვეყნად, მაგრამ ნახა რა იძანამი გახრწნილი, საშინელი შესახედაობის, ბნელეთიდან გამოიქცა. ქმრის გაქცევისგან გამძვინვარებულმა იძანამიმ ფიცი დადო, რომ დღეში ათას ადამიანს მოკლავდა, რის საპასუხოდაც იძანაგი ყოველ დღე მშობიარეებისთვის ათას ხუთას ქოხს აგებდა. ეს მითი კარგად გადმოსცემს სინტოს წარმოდგენას სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ, კერძოდ იმას, რომ თვით ღმერთებიც მოკვდავნი არიან და აზრი არ აქვს გარდაცვლილთა იმქვეყნიური სამყაროდან დაბრუნებას, თუმცა სულიერი გარდასახვის წყალობით სიცოცხლე ყოველთვის ამარცხებს სიკვდილს.

## 6. თქვენი სიტყვებით გადმოეცით სინტოიზმის წარმოდგენა სამყაროს გაჩენის შესახებ და გააანალიზეთ ის.

იძანაგისა და იძანამის მითში უკვე მოხსენიებულნი არიან ადამიანები. ამრიგად, სინტოს მითოლოგია ადამიანთა მოდგმის გაჩენას იაპონიის კუნძულების წარმოქმნის თანადროულად განიხილავს, თუმცა კონკრეტულად ადამიანის გაჩენის აქტის შესახებ

სინტოიზმი არაფერს გვეუბნება. ეს აიხსნება იმით, რომ სინტო განსაკუთრებულ ზღვარს არ ავლებს ადამიანსა და კამის შორის.

**7. რატომ არ არის სინტოიზმში საუბარი ადამიანის გაჩენის შესახებ?**

ბნელეთიდან დაბრუნების შემდეგ იძანაგი მდინარის წყალში განიწმინდა. როდესაც ის განბანის რიტუალს ასრულებდა, მისი ტანსაცმლიდან და სამკაულებიდან მომდინარე წყლის წვეთებიდან მრავალი კამი წარმოიშვა. მათ შორის, მარცხენა თვალიდან წამოსული წყლის წვეთებისგან მზის ქალღმერთი - ამატერასუ იშვა, ხოლო ცხვირიდან - სუსანოო - ქარისა და ქარიშხლის ღმერთი. ერთხელ სუსანოო სტუმრად ეწვია საკუთარ დას და მასთან ცუდად და თავშეუკავებლად მოიქცა. ამის გამო ამატერასუ საკუთარ ციურ გამოქვაბულში ჩაიკეტა, რის გამოც სამყარო წყვდიადმა მოიცვა. მითის მიხედვით, ღმერთებმა მზის ქალღმერთი ჩიტების ჭიკჭიკის, სიმღერისა და ხმამაღალი სიცილის წყალობით გამოიტყუეს გამოქვაბულიდან, რის შემდეგაც ისევ სინათლემ დაისადგურა სამყაროში.

ამატერასუს დაბრუნების შემდეგ იაპონურ მითებში აღიწერება მხოლოდ ცალკეული ისტორიები, რომლებსაც ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ. ისინი მოგვითხრობენ კამების ერთმანეთთან ბრძოლას იაპონიის კუნძულების ხელში ჩასაგდებად. ერთ-ერთი მითი გვიყვება, თუ როგორ ჩამოვიდა მიწაზე ამატერასუს შვილიშვილი ნინიგი, რომელსაც მიზნად ჰქონდა მთელი იაპონიის მმართველობის ხელში ჩაგდება. მას ხუთი ღვთაება ახლდა თან, რომლებმაც იაპონიის ხუთ არისტოკრატულ გვარს დაუდეს საფუძველი. მეორე მითის მიხედვით, ნინიგის შთამომავალმა ძიმუმ კუნძულ კიუსიუდან მოაწყო ლაშქრობა კუნძულ ჰონსიუზე და გააერთიანა მთელი ქვეყანა, რის შედეგადაც წარმოიშვა იაპონიის იმპერია, ხოლო თვითონ პირველი იმპერატორი გახდა. მითის ორიგინალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში დასახელებულია ამ ისტორიის კონკრეტული თარიღი, კერძოდ, ძვ.წ. 660 წელი. მეცნიერთა აზრით, მოვლენა (იაპონიის სახელმწიფოს შექმნა), რომელიც მითშია გადმოცემული ახ.წ III საუკუნეს უნდა განეკუთვნებოდეს. სწორედ ამ ისტორიას ეყრდნობა თეზისი საიმპერატორო გვარის ღვთაებრივი წარმომავლობისა. იმპერიის დაარსების დღე ყოველ წელს 11 თებერვალს აღინიშნება იაპონიაში.

**8. თქვენი აზრით, რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ იაპონურ მითებში დასახელებულია კონკრეტული თარიღები?**

საიმპერატორო დინასტიის ღვთაებრიობიდან გამომდინარე წარმოიშვა იდეა იაპონელი ერის რჩეულობის შესახებ. ტრადიციის მიხედვით, კამი აგრძელებს არსებობას იმპერატორებში, საიდანაც გამომდინარეობს თეორია, რომ ქვეყანა ღვთაებრივი ნების წყალობით იმართება. ამ იდეამ კიდევ უფრო რადიკალური ელფერი შუა საუკუნეებში მიიღო, როდესაც იმპერატორი ქალღმერთ ამატერასუს ცოცხალ გარდასახვად აღიარეს, რაც მისადმი ღმერთების მსგავს

თაყვანისცემას ითხოვდა. იაპონია ოჯახ-სახელმწიფოდ ითვლებოდა, სადაც ქვეშევრდომებს იმგვარი პატივისცემა უნდა გამოეხატათ იმპერატორისათვის, როგორც შვილს მამისადმი, ხოლო იმპერატორი მამობრივი სიყვარულით უნდა გამსჭვალულიყო თითოეული იაპონელისადმი.

**9. როგორ ჩაეყარა საფუძველი იაპონიის იმპერატორის ლეგიტიმაციას?**
**10. როგორია იაპონელთა სახელწიფოს კონცეფცია?**

დიდი ხნის მანძილზე იაპონიაში იმპერატორთა ხელისუფლება ნომინალური იყო, რაც გაუთავებელი ფეოდალური შინაომების შედეგი გახლდათ, თუმცა 1868 წელს ისევ აღდგა იმპერატორის ძალაუფლება. ამას მოჰყვა ქვეყნის მმართველის ცოცხალ ღმერთად აღიარება, ხოლო სინტოიზმი აუცილებელ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც ოც წელიწადში, იაპონიის კონსტიტუციის მიხედვით, რწმენის თავისუფლება აღიარებულ იქნა, სინტოიზმმა მაინც შეინარჩუნა ოფიციალური რელიგიის სტატუსი.

სახელმწიფო სტატუსი სინტომ II მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ დაკარგა, როდესაც ამერიკული საოკუპაციო ხელისუფლების ზეწოლით იაპონიამ ახალი კონსტიტუცია მიიღო. ამ კონსტიტუციის მიხედვით, იმპერატორი აღარ ითვლებოდა ცოცხალ ღვთაებად და უმაღლეს ქურუმად. ის მხოლოდ საკუთარი ერის ერთიანობის სიმბოლო გახდა.

**11. როგორ ფიქრობთ, რატომ შეიცვალა იმპერატორის სტატუსი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ?**

სინტოისტური კულტის საფუძველს წარმოადგენს კამის თაყვანისცემა. ამისთვის გამოიყენება რიტუალები, რომლის დანიშნულებაა დაამყაროს კავშირი მორწმუნესა და კამის შორის.

**12. რა დანიშნულება აქვთ რიტუალებს სინტოიზმში?**

იაპონელთა აზრით, კამის გულის მონადირება მაშინ შეიძლება, როდესაც მას სიამოვნებას მივანიჭებთ. რიტუალური სისტემა სინტოიზმში მეტად დაწვრილებითაა გაწერილი. ის ითვალისწინებს როგორც ტაძარში კოლექტიურ ლოცვას, ასევე ინდივიდუალურ ლოცვას სახლში. ამას გარდა, სინტო ოთხ ძირითად რიტუალს ითვალისწინებს - განწმენდას, მსხვერპლშეწირვას, ლოცვას და სიმბოლურ სუფრას (ტრაპეზს).

განწმენდის დროს სინტოისტები მოიხმარენ ჭურჭელს, სუფთა წყალს და ხის ჩამჩას. მორწმუნე ჯერ იბანს ხელებს, შემდეგ პირს, ხოლო შემდეგ რეცხავს ჩამჩის ტარს, რათა

შემდეგ მლოცველს სუფთა დაუტოვოს. ასევე არსებობს მასობრივი განწმენდა, როდესაც მღვდელმსახური მორწმუნეებს მარილიან წყალს აპკურებს.

მსხვერპლშეწირვა - მორწმუნემ უნდა მიართვას საჩუქრები კამის და ამით დაამტკიცოს მისადმი ერთგულება. ძღვენი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, მაგრამ აუცილებლად ან უბრალო საგნები ან საკვები. ტაძარში ლოცვის დროს  კამის ძღვენს ალაგებენ თეფშებზე და სინებზე, რომლებიც სპეციალურ მაგიდებზეა განთავსებული. ეს ძღვენი მღვდელმსახურს მიაქვს. საკვები პროდუქტებიდან ყველაზე გავრცელებულია წყაროს სუფთა წყლის, საკეს (ალკოჰოლური სასმელი) გასუფთავებული ბრინჯის, ბრინჯის კვერის და იშვიათად თევზის მირთმევა. რაც შეეხება არასაკვებ პროდუქტებს, შესაწირი შეიძლება იყოს მონეტები, რომლებსაც ტაძარში გამოყოფილ სპეციალურ ყუთებში ყრიან. მსხვილ ფულად შესაწირს მლოცველები ქაღალდში ახვევენ და ტაძრის ქურუმს აძლევენ. კამისადმი, რომელიც რომელიმე ხელოსნური დარგის მფარველია, შესაძლებელია ამ ხელოსნური ნაწარმის შეწირვაც, მაგ., კერამიკული ნაწარმი, ტილოები და სხვა. იაპონიაში ძალიან გავრცელებულია სხვადასხვა მცენარეების ან მათი ტოტების ღვთაებისადმი მირთმევა. მორთმეულ ძღვენს ქურუმები აგროვებენ და სხვადასხვაგვარად იყენებენ. მცენარეებსა და საგნებს ისინი ტაძრის მოსართავად იყენებენ, საკვების ნაწილი შესაძლებელია თვითონ მიირთვან ან რელიგიური ტრაპეზისთვის გამოიყენონ.

სინტოიზმში ნორიტოს ეძახიან იმ ქურუმს, რომელიც ადამიანსა და კამის შორის შუამავლად გვევლინება.  ნორიტო უძღვება იმგვარ ლოცვებს, რომლებიც ღირსშესანიშნავ და სადღესასწაულო დღეებში სრულდება. რიტუალური ცერემონია შესაძლებელია ჩატარდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მორწმუნე მას სპეციალურად შეუკვეთს. მაგ., როდესაც ადამიანი სარისკო საქმეს (ბიზნესს) იწყებს, ან, პირიქით, როდესაც ის კარგად დაასრულებს ამ საქმეს. შესაძლებელია, ეს რიტუალური ლოცვა მორწმუნემ შვილის გაჩენის, მისი სკოლაში წასვლის, უნივერსიტეტის დამთავრების ან ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად შეუკვეთოს. ჩვეულებისამებრ, ნორიტო ხოტბას ასხამს იმ ღვთაებას, რომელსაც ეძღვნება ეს რიტუალი, შემდეგ ჩამოთვლის ყველა დამსწრეს და აღწერს, თუ რისთვის შეიკრიბნენ ეს ადამიანები და, ბოლოს, კამის სთხოვს, შეუსრულოს მათ თხოვნა.

### 13. ვინ არის ნორიტო, ჩამოთვალეთ მისი ფუნქციები?

მეოთხე მნიშვნელოვანი რიტუალი, რომელსაც სინტოისტები ასრულებენ არის ნაორაი, რაც რელიგიურ  ნადიმს გულისხმობს. წეს-ჩვეულება გულისხმობს მრევლის საერთო ტრაპეზს, როცა ღვთაებისადმი მირთმეული ძღვენის ნაწილს მიირთმევენ, რაც სიმბოლურად კამისთან ერთად პურობას განასახიერებს.

**14. ჩამოთვალეთ ოთხი ძირითადი რიტუალი, რომელიც სინტოიზმში გვხდება და ისაუბრეთ თითოეული მათგანის ფუნქციაზე?**

იაპონიაში მეტად გავრცელებულია სახლში პატარა სამლოცველოს მოწყობა. უმეტეს შემთხვევაში, ასეთი სამლოცველოებისთვის ბინის რომელიმე კუთხეს გამოყოფენ, სადაც პატარა საკურთხეველია მოწყობილი. ამ საკურთხეველს კამიდანას ეძახიან. კამიდანა ირთვება ფიჭვის ან წმინდა ხის - საკაკის ტოტებით. თუ შესაძლებელია, კამიდანას პირდაპირ ათავსებენ სარკეს. ამ საკურთხეველზე ჰკიდებენ სხვადასხვა თილისმას, რომელიც ტაძარშია ნაყიდი ან ფირფიტებს, რომლებზეც ღვთაებების სახელებია დაწერილი.

სინტო არ ითხოვს მორწმუნეებისგან ტაძრის ხშირ მონახულებას. საკმარისია, ტაძრებში ლოცვებზე დასწრება მხოლოდ დიდი რელიგიური დღესასწაულების დროს. დანარჩენ დღეებში ადამიანს შეუძლია ილოცოს სახლში. სახლში ლოცვა კამიდანას წინ სრულდება. რიტუალის აღსრულებამდე კამიდანა კარგად იწმინდება, მასთან დგამენ ტოტებსა და საკეს. გარდაცვლილთა მოხსენიების დროს, შესაძლებელია საკურთხეველზე მათი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირადი ნივთებიც მოათავსონ, მაგ., უნივერსიტეტის დიპლომი, ცნობა სამსახურში დაწინაურების შესახებ და სხვა. რიტუალური განწმენდის შემდეგ (სახისა და ხელების დაბანა) მლოცველი დგება კამიდანის პირდაპირ და ასრულებს რელიგიურ რიტუალს. ეს რიტუალი შემდეგნაირად გამოიყურება: ერთხელ ხანმოკლე თავის დაკვრით ის ესალმება კამის, შემდეგ ორჯერ ხანგრძლივად უკრავს თავს, ამის შემდეგ ტაშს უკრავს, რათა მიიქციოს კამის ყურადღება. რიტუალი გრძელდება ჩუმი ლოცვით, რომლის შემდეგაც მლოცველი კიდევ ერთხელ ხრის თავს კამიდანის წინაშე. ამ რიტუალის დასრულების შემდეგ, ოჯახი მართავს ნადიმს.

სინტოიზმი, თავისი ისტორიის მანძილზე, სხვადასხვა რელიგიის გავლენას განიცდიდა. კონფუციანობა, დაოსიზმი, ძველი იაპონური კერპთაყვანისმცემლობა - ეს ის კულტებია, რომელთა ელემენტებიც უხვად გვხდება ამ რელიგიაში. მაგრამ განსაკუთრებული ურთიერთობა სინტოიზმსა და ბუდიზმს შორის ჩამოყალიბდა, იმის გამო, რომ ბუდიზმი ძალიან პოპულარული იყო იაპონურ არისტოკრატიაში. ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ კონფლიქტი ამ ორ რელიგიას შორის არ ყოფილიყო: უკვე საწყის ეტაპზე კამები ბუდიზმის მფარველებად გამოცხადდნენ, მოგვიანებით ზოგიერთი კამი ბუდისტურ წმინდანებთან გაიგივდნენ, ხოლო საბოლოოდ, შეიქმნა დოქტრინა, რომლის მიხედვითაც კამები, ისევე როგორც ადამიანები ხსნას საჭიროებენ, რომელიც ბუდისტური რელიგიური კანონებით მიიღწევა.

სინტოისტური ტაძრების ტერიტორიაზე ბუდისტური სამლოცველოების აშენებაც დაიწყეს, სადაც ამ რელიგიისთვის დამახასიათებელ რიტუალებს ასრულებდნენ. განსაკუთრებით მე-9 საუკუნიდან, როდესაც ბუდიზმი იაპონიის სახელმწიფო რელიგია გახდა, სინტოს ტაძრებში ბუდასა და ბოდჰისატვების გამოსახულებებიც გამოჩნდა. წარმოიშვა ახალი რელიგიური

დღესასწაულები, ასევე ბუდიზმის დიდი გავლენა განიცადა სინტოისტურმა საკულტო არქიტექტურამაც.

რწმენის თვალსაზრისით, ბუდიზმის გავლენა გამოვლინდა იმაში, რომ სინტოიზმში წარმოიშვა ახალი კონცეფცია, რომელიც ვარაუდობდა განწმენდის გზით კამისთან ჰარმონიის მიღწევას. განწმენდაში იგულისხმებოდა ყველაფერი ზედმეტის, უცხოს მოშორება, ყველაფერი იმის მოშორება, რაც ადამიანს ხელს უშლის დაინახოს სამყარო ისეთად, როგორიც არის ის სინამდვილეში. ადამიანის განწმენდილი გული, სარკის მსგავსად აღიქვამს სამყაროს ყველა თავის გამოვლინებაში და გადაიქცევა კამის გულად. ღვთაებრივი გულის მქონე ადამიანი ცხოვრობს სამყაროსა და ღმერთებთან ჰარმონიაში, ხოლო ქვეყანა, რომლის საზოგადოებაც განწმენდისკენ ისწრაფვის კეთილდღეობას აღწევს.

**15. იმსჯელეთ, იმის შესახებ, თუ როგორ შეითვისა სინტოიზმმა ბუდიზმის ელემენტები?**

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სინტოიზმი მეტად საინტერესო რელიგიაა. მრავალი მეცნიერის აზრით, სწორედ სინტოისტურმა სულმა განაპირობა იაპონიის ისეთი სწრაფი განვითარება, რომელსაც მთელი მსოფლიო XX საუკუნის განმავლობაში თვალს ადევნებდა.

**16. თქვენი აზრით, რით შეიძლება აიხსნას დებულება, რომლის მიხედვით, სწორედ სინტოისტურმა სულმა განაპირობა იაპონიის ისეთი სწრაფი განვითარება, რომელსაც მთელი მსოფლიო XX საუკუნის განმავლობაში თვალს ადევნებდა.**